EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მესამე სექცია

არნარ ჰელგი ლარუსონი ისლანდიის წინააღმდეგ

(განაცხადი N 23077/19)

სამართლებრივი შეჯამება

არაოფიციალური თარგმანი

მომზადებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს და ანალიტიკური სამსახურის მიერ.

სტრასბურგი

31 მაისი, 2022 წელი

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

მუხლი 14

დისკრიმინაცია

ორ ადგილობრივ საჯარო დაწესებულებაზე შეზღუდული წვდომის აღმოფხვრისა და გაუმჯობესების მიზნით, სათანადო ღონისძიებების გაუტარებლობასთან დაკავშირებით, ეტლით მოსარგებლეთა მიმართ **დისკრიმინაცია არ დადგინდა.**

ფაქტები - განმცხადებელი არის მკერდს ქვემოთ პარალიზებული ადამიანი, რომელიც გადაადგილებისათვის იყენებს ეტლს. ეროვნულ სასამართლოებში მიმდინარე დავის ფარგლებში, რომელშიც განმცხადებელთან ერთად მოსარჩელე მხარე იყო ხერხელმადაზიანებულ პირთა ასოციაცია, სასარჩელო მოთხოვნა მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული სახელოვნებო და კულტურული ცენტრების შენობებზე თავისუფალი წვდომის შეუძლებლობის უკანონოდ ცნობის მოთხოვნით არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელე მხარეებმა გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრეს, სადაც მათი მოთხოვნა კვლავინდებურად არ დაკმაყოფილდა.

გამოსაყენებელი სამართალი - ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი მე-8 მუხლთან კავშირში.

(ა) გამოსადეგობა

წინამდებარე საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები განსხვავებულად უნდა შეფასდეს ევროპული სასამართლოს მიერ მანამდე დამკვიდრებული პრაქტიკისგან, რომლებშიც გატარებული იქნა მოსაზრება, რომ ეტლით თავისუფალი გადაადგილება არ ექცევა პირადი ცხოვრების ფარგლებში:

- განსხვავებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული საქმისგან *Botta v. Italy,* წინამდებარე საქმეზე შენობაზე წვდომის საკითხი შეეხება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში და ფაქტობრივ განმგებლობაში არსებულ დაწესებულებას, რომელიც განთავსებულია განმცხადებლის მუნიციპალიტეტის საზღვრებში;
- განსხვავებით საქმისგან *Zehnalova and Zehna v. Czech Republic*, განმცხადებელს იდენტიფიცირებული აქვს ზუსტი რაოდენობის შენობები, რომელზეც შეზღუდული აქვს წვდომა და განმარტავს, თუ რატომ ახდენს ამ ნაგებობებში შესვლისა და გადაადგილების შეუძლებლობა მის პირადი ცხოვრების უფლებაზე გავლენას.
- ამასთან, განსხვავებით საქმისგან *Glaisen v. Switzerland*, წინამდებარე საქმე არ შეეხება მხოლოდ მრავალთაგან ერთ-ერთ, კერძო მფლობელობაში არსებულ კულტურულ დაწესებულებას. პირველი შენობა არის მუნიციპალიტეტის „მთავარი კულტურული და სახელოვნებო ცენტრი“, ამასთან, საქმის გარემოებებში არ იკვეთება, რომ განმცხადებელს შესაძლებლობა ჰქონდა მუნიციპალიტეტის სხვა კულტურულ დაწესებულებაში ესარგებლა მსგავსი ღონისძიებებითა ან სერვისებით. განსახილველი

შემთხვევიდან იკვეთება, რომ მეორე კულტურული ნაგებობა თავდაპირველად გათვლილი იყო ბავშვებსა და მოზარდებზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, შენობა მაინც მიეკუთვნება საჯარო ნაგებობას, რომლის დარბაზიც გამოიყენებოდა სხვადასხვა ღონისძიებებისთვის, მათ შორის, ისეთი აქტივობებისთვისაც, რომლის აუდიტორიასაც ბავშვები და მოზარდები არ წარმოადგენდნენ. ამასთან, მუნიციპალიტეტის მასშტაბით არ არსებობდა სხვა შენობა, რომელსაც ექნებოდა იგივეობრივი დანიშნულება.

განმცხადებელმა სადავოდ გახადა ორ ცალკეულ შენობაზე წვდომა, რომლებიც სახელმწიფო საკუთრებში იმყოფებოდა და ექვემდებარებოდა მუნიციპალიტეტის განმგებლობას, ამასთან, 20 ათასამდე მაცხოვრებლით დასახლებული მუნიციპალიტეტის მასშტაბით ასრულებდა მნიშვნელოვან კულტურულ როლს. პირველ შენობაზე წვდომის შეუძლებლობამ განმცხადებელს შესაძლებობა წაართვა, დასწრებოდა კულტურულ აქტივობებს, რომლებიც მუნიციპალიტეტის მასშტაბით იმართებოდა; ამასთან, მეორე შენობაზე წვდომის შეუძლებლობამ შეზღუდა განმცხადებლის ხელმისაწვდომობა დასწრებოდა დაბადების დღის წვეულებებსა და სხვა სოციალურ აქტივობებს შვილებთან ერთად.

სასამართლოს აფასებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის საზოგადოებაში სრული ინტეგრაციისა და სოციუმის ცხოვრებაში მონაწილეობის მნიშვნელობას, რაც მნიშვნელოვნად განპირობებულია ევროპის საბჭოს როლით, რომელმაც დასაბამი დაუდო ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების განვითარებას. ფიზიკურ გარემოზე წვდომისა და სხვა აუცილებელ საჯარო საჭიროებებსა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გარეშე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს არ ექნებათ შესაძლებლობა ინტეგრირდნენ საზოგადოებაში.

ზემოხსენებული ზოგადი ფონისა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სადავო საკითხი ზეგავლენას ახდენს განმცხადებლის პერსონალური განვითარებაზე, სხვა ადამიანებთან სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და გარესამყაროსთან წვდომაზე. შესაბამისად, საკითხი ექცევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ „პირადი ცხოვრების“ ცნების ფარგლებში; ამასთან, სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის განხილვა მე-14 მუხლთან ბმაში.

(ბ) სასამართლოს სამართლებრივი შეფასება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განხილულ საქმეებთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, მიუთითებს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კონვენციაზე და განმარტავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი შეფასებული უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კონვენციის იმ ნორმების გათვალისწინებით, რომელიც შეეხება „გონივრულ მისადაგებას“, რაც, თავის მხრივ, არსობრივად მოიაზრებს „აუცილებელ და ინდივიდუალურ მიდგომას, რომელიც არ აწესებს არაპროპორციულ და გაუმართლებელ ტვირთს. ამგვარი მიდგომით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს მიეცათ

შესაძლებლობა თანაბარ საწყისებზე ისარგებლონ ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით. გონივრული მისადაგების პრინციპი შესაძლებლობას იძლევა არსებული უთანასწორობის დაბალანსებისათვის, რათა აღმოიფხვრას უთანასწორო მდგომარეობა, რომელიც დისკრიმინაციას უტოლდება. აღნიშნული მიდგომა გამოიყენება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა როგორც სოციალური, აგრეთვე კულტურული ცხოვრების ნაწილში, ამგვარად, შშმ პირთა კონვენციის 30-ე მუხლი წევრ სახელმწიფოებს უწესებს მოთხოვნას - უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის ისეთი პირობები, რომ თანაბარ საწყისებზე ჰქონდეთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ კულტურულ ცხოვრებაში.

წინამდებარე საქმე სასამართლოს მხრიდან შეფასდა იმ კრიტერიუმით, გაატარა თუ არა სახელმწიფომ სათანადო ზომები საკუთარი პოზიტიური ვალდებულების შესასრულებლად, კერძოდ, მიეცა თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შესაძლებლობა, ესარგებლათ საკუთარი პირადი ცხოვრების უფლებით სხვებთან თანაბარ საწყისებზე. ამ პოზიციიდან გამომდინარე და საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, შეფასების ტესტი შეეხება შემდეგ საკითხს: განახორციელა თუ არა სახელმწიფომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებების გონივრული მისადაგება, რომელიც ამავდროულად არ იწვევს არაპროპორციულ და გაუმართლებელ ტვირთს სახელმწიფოსთვის.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა ეროვნული სასამართლოების მიერ გაკეთებულ დასკვნები, რომელიც შეეხება კონკურენტულ ინტერესებს იმაზე, გადაიდგა თუ არა საკმარისი ნაბიჯები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის (მათ შორის, განმცხადებლისთვის) ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის. გადაწყვეტილების ბუნებისა და შეფასების შეზღუდული საგნის, აგრეთვე წევრი სახელმწიფოს შეფასების თავისუფალი ფარგლების გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის დამაჯერებელი არ არის მტკიცება, რომ განსახილველ შენობებზე წვდომის ვერ მინიჭების პირობებში მოპასუხე სახელმწიფომ დისკრიმინაციულ ფონზე ვერ შეძლო სათანადო ღონისძიებების გატარება ფაქტობრივი უთანასწორობის აღმოსაფხვრელად, რათა განმცხადებლისთვის მიეცა პირადი ცხოვრების უფლებით სხვების თანასწორად სარგებლობის საშუალება.

სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ მოპასუხე სახელმწიფოს 2011 წლის საპარლამენტო რეზოლუციის თანახმად, მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა მუნიციპალიტეტში საჯარო ნაგებობებისა და საზოგადოებრივი ფუნქციის მქონე შენობების ხელმისაწვდომობის გაზრდის თვალსაზრისით. ამგვარი გაუმჯობესების ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მიერ პრიორიტეტი მიენიჭა საგანმანათლებლო და სპორტული დაწესებულებების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, რაც არ შეიძლება შეფასდეს, როგორც თვითნებურად შერჩეული და გაუმართლებელი სტრატეგია პრიორიტეტების განსაზღვრის კუთხით. ევროპული სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტებების თანახმად, რომლებიც შეეხება განათლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმისაწვდომობის პრაქტიკას, თანმდევი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებანი, რომელიც დროთა განმავლობაში

ხორციელდება, წარმოადგენს ზოგადი ვალდებულების შესრულებაზე ორიენტირებულ მწყობრ ნაბიჯებს, რომლებიც მიემართება უნივერსალური ხელმისაწვდომობის დამკვიდრებისკენ რელევანტური საერთაშორისო წყაროების გათვალისწინებით. წინამდებარე საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სახელმწიფოსთვის შემდგომი ღონისძიებების განხორციელების ვალდებულების დაკისრება გაუტოლდება „არაპროპორციული და გაუმართლებელი ტვირთის“ დაკისრებას იმ პოზიტიური ვალდებულებების ნაწილში, რომელიც ევროპული სასამართლოს პრაქტიკითაა დადგენილი და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზებას სხვებთან თანაბარ პირობებში.

მოპასუხე სახელმწიფომ და მუნიციპალიტეტმა გაატარეს სათანადო ღონისძიებები, რათა დაედგინათ და უზრუნველეყოთ ხელმისაწვდომობა საჯარო დაწესებულების შენობებში, შეზღუდული საბიუჯეტო სახსრებისა და შენობების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებად აღნუსხვის გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმ ღონისძიებების გათვალისწინებით, რაც სახელმწიფომ უკვე განახორციელა, განმცხადებელი არ განიხილება პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებით სარგებლობას დისკრიმინაციის მსხვერპლად.

შედეგი: დარღვევა არ დადგინდა.